# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი | გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

5 ოქტომბერი
ხუთშაბათი
2023 წელი
№42 (9304)
ფასი 40 თეთრი


## პენსიები იზრდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, საქართველოში მომავალი წლიდან პენსიები გაიზრდება. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.



- 2024 წლიდან ჯანდაცვის და სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი 870 მლნ ლარით იზრდება. 70 წლამდე პენსიონერებს 20 ლარით, ხოლო 70 წლისა და მეტი ასაკის პირთა პენსია გაიზრდება 50 ლარით და გახდება 415 ლარი. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში იქნება თითქმის 500 ლარი. შედარებისთვის გეტყვით, რომ 2012 წელს პენსია იყო 110 ლარი და 125 ლარი. ახლა არის 415 ლარი და მაღალმთიან დასახლებებში - 500 ლარამდე.

## შეხვედრა სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში



**სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტის მერებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებთან სამუშაო თათბირი გაიმართა, რომელსაც ბესიკ ამირანაშვილი უძღვებოდა.**

**შეხვედრაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს, მათ შორის:**

■ **რეგიონის მასშტაბით ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა და მათი შესრულების ვადები გეგმა-გრაფიკთან მიმართებაში.**

■ **კულტურის სფეროში დაგეგმილი ღონისძიებები**

თათბირზე ასევე ისაუბრეს რეგიონში მოქმედი სპორტული კლუბების მიღწევებზე. ინტერმუნიციპალური სარაგბო კლუბის - „ტაოს ხელმძღვანელმა ი**რაკლი გვენეტაძემ** სახელმწიფო რწმუნებულს, მერებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს კლუბის აქტივობების შემაჯამებელი პრეზენტაცია წარუდგინა.

ამასთან, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელმა პირებმა არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს და სახელმწიფო რწმუნებულისგან შესაბამისი რეკომენდაციები მიიღეს.

ბესიკ ამირანაშვილის ხელმძღვანელობით გამართულ სამუშაო თათბირს, მერებსა და საკრებულოების თავმჯდომარეებთან ერთად ასევე ესწრებოდნენ მოადგილეები - **დავით ვარდიაშვილი** და **შოთა როსტიაშვილი,** აპარატის უფროსი **გიორგი მიქელაძე,** რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი **მარინა გაჩეჩილაძე** და ადგილობრივ თვითმმართველობებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **იოსებ ალიბეგაშვილი.**

## ცვლილებები კანონში „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“

**ქართული ოცნების**“ დეპუტატების ინიციატივით პარლამენტში განსახილველად შევიდა „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომლებიც ასე ჩამოყალიბდა: შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეებს დროებითი კონსტრუქციების მოწყობა ეკრძალებათ, თუ მისი მოწყობა საფრთხეს უქმნის შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ან სხვა პირებს; ხელს უშლის პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას; იწვევს საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებას. „საჯარო სივრცის იერის დამახინჯების თავიდან აცილების მიზნით“, შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს დროებითი კონსტრუქციის მოწყობა იმ შემთხვევაშიც ეკრძალებათ, თუ მისი მოწყობის გარეშე შეკრების ან მანისფერტაციის ჩატარება არსებითად არ ფერხდება. ამ ახალი ამკრძალავი ნორმების დარღვევა გამოიწვევს სამართალდარღვევის საგნის კონსტრუქციების აღებას და დაჯარიმებას 500 ლარით ან სამართალდარღვევის საგნის კონსტრუქციას და ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციას და დაჯარიმებას 5.000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.



კანონში ცვლილების შეტანის მიზეზად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადებაა დასახელებული, რომლის თანახმადაც, საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი პირების გარკვეული ჯგუფი 2023 წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობას გეგმავს.

## სოხუმის დაცემიდან 30 წელი გავიდა



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ფერაძემ** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს აფხაზეთის ომის გმირების მემორიალი.

დეკანოზმა იოანემ (ხეცურიანი) ომში დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

- 27 სექტემბერი ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა საქართველოს ისტორიაში. 1992-1993 წლების ომს ათი ათასზე მეტი ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა, ასეულობით ათასი ადამიანი კი საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. პატივს მივაგებ დაღუპულთა ხსოვნას. ამ ადამიანებმა ჩვენს ქვეყანას ყველაზე ძვირფასი - საკუთარი სიცოცხლე შესწირეს. გულწრფელად ვუსამძიმრებ ომის მსხვერპლთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, - განაცხადა **ოთარ არბოლიშვილმა**.

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე სახელმწიფო დროშები იყო დაშვებული.

## ინფრასტრუქტურული პროექტები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

**სარეაბილიტაციო** სამუშაოების მიმდინარეობას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** და მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე** ადგილზე გაეცნენ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისში მამათა მონასტრის „ბერის საყდრებთან“ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა.

პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება, პირველ ეტაპზე გზის 600-მეტრიან მონაკვეთზე არმირებული ბეტონის საფარი მოეწყო.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება და სამუშაოებს შპს „არალი“ ახორციელებს.

პროექტის მიზანია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

ასევე, სოფელ ყვიბისში „კვახიანი ღელეზე“ ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით, 105 მეტრზე ნაპირდამცავი კედლის მოწყობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 448 999 ლარია გამოყოფილი.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ე.წ ახალი უბნის დასახლებაში მტკვრის სანაპიროზე დაზიანებული დამცავი საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

სამუშაოებს საქართველოს სამშენებლო კომპანია“ ასრულებს.

დაზიანებული საყრდენი კედლის რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 900 000 ლარია გამოყოფილი.

### ფართომასშტაბიანი კამპანია

## „ქართული ენა გვაერთიანებს“!..

**საქართველოს ეთნიკურად** და კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში სახელმწიფო ენის ცოდნის ამაღლების საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მრავალკომპონენტიანი და ფართომასშტაბიანი კამპანია სახელწოდებით - **„ქართული ენა გვაერთიანებს“** დაიწყო. კამპანიის მთავარი მიზანია, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, არაქართულენოვანი მოსახლეობის სახელმწიფო ენის შესწავლის მნიშვნელობასა და არსებულ შესაძლებლობებზე ცნობიერების ამაღლება და სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია.

„სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად“ პირველი რიგის და ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რომლის განხორციელება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინირებით მიმდინარეობს.

სახელმწიფო ენის შესწავლის მრავალფეროვანი შესაძლებლობები: სპეციალური პროგრამები და პროექტები განათლების ყველა საფეხურზე - როგორც სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი, ასევე ზრდასრულთა განათლების მიმართულებით, კამპანიის - „ქართული ენა გვაერთიანებს“ ფარგლებში, წარმოდგენილია მასობრივი კომუნიკაციის თითოეული საშუალებით; მომზადდა ვიდეორგოლები, როგორც სატელევიზიო ასევე ციფრული ფორმატებისთვის, თბილისსა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განთავსდა თემატური ბილბორდები, ბანერები და პოსტერები. ასევე, ადგილობრივ ტელევიზიებში განთავსდა ორენოვანი ვიდეორგოლები; მოსახლეობაში დარიგდება საინფორმაციო ბროშურები, როგორც ქართულ, ასევე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

## საგანმანათლებლო პროექტი „ჰუმანური საქართველო“ - ბორჯომში

**2 ოქტომბერს, ბორჯომში გაიმართა შეხვედრა საგანმანათლებლო პროექტს „ჰუმანური საქართველოს“ ხელმძღვანელთან, აკადემიკოს შალვა ამონაშვილთან, რომელმაც ბორჯომელ პედაგოგებს პედაგოგიკასა და მის ძირითად ღირებულებებზე ესაუბრა. სკოლებში გამართა სემინარი.**

ბატონი შალვა ჯერ მეორეკლასელებს ბორჯომის №1 საჯარო სკოლაში შეხვდა, შემდეგ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაფართოებული შეხვედრა მოეწყო მშობლებსა და მასწავლებლებთან.

ამავე პროექტის ფარგლებში გაიმართა ბატონ **პაატა ამონაშვილის** შეხვედრა უფროსკლასელებთან, ქალბატონ **თამარ სხვიტარიძის** შეხვედრა სამუსიკო სკოლაში სტუდიის ხელმძღვანელებთან, ბორჯომის №1 საჯარო სკოლაში სკოლებისა და ბაღების წარმომადგენლებთან.



- ეს პროექტი არის საგანმანათლებლო და მისი მიზანია ბავშვებისთვის აღზრდა-სწავლების პროცესი სასიამოვნო და საინტერესო გახდეს. ვასწავლოთ სიყვარული! ეს ამ მოძრაობის დევიზია. ჩვენთან სტუმრად სწორედ ამ იდეის ავტორები იმყოფებოდნენ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელობას, რომელთა მხარდაჭერითა და ინიციატივით შედგა შეხვედრები. მადლობა ჩემს კოლეგას **ქეთი ხაჩიძეს** და ჩემს კოლექტივს თანადგომისთვის, - გვითხრა ბორჯომის №1 საჯარო სკოლის დირექტორმა, „ჰუმანური საქართველოს“ წარმომადგენელმა სამცხე-ჯავახეთში ქალბატონმა **ჯულიეტა ჯინჯოლავამ.**

- ჯერ მისი დარბაზში შემოსვლა იყო... იმდენად თავმდაბალი პიროვნების, რომ ეს მის თითიეულ მოქმედებაში გამოიხატებოდა. იგი სათნოების, მიმტევებლობისა და სიყვარულის მასწავლებელია. ისაუბრა რწმენაზე, რას გვასწავლის 10 მცნება, როგორი ჰუმანურები და ერთმანეთის გამგებები უნდა ვიყოთ. ჩვენ შევიცვალოთ და „შემოვტრიალდეთ“ ადამიანებისკენ, კონკრეტული პიროვნებებისკენ, რომ მანაც შეძლოს შეცვლა, შემდეგ კი ისაუბრა ოჯახზე, რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახში ერთმანეთის აზრის პატივისცემა. შვილებზე და მათ აღზრდაზე გაამახვილა ყურადღება, და ბოლოს გვითხრა, რომ თქვენი აგრესია და აღშფოთება დამარხეთ ეზოში. ბავშვი მიიყვანეთ თავის სინდისთან, რათა თავად გასცეს პასუხი თავის ნამოქმედარს. ნამდვილად, მოხიბლული ვარ ამ შეხვედრით, - გვითხრა 3 შვილის დედამ **ქეთი გელაშვილმა.**

**მოამზადა ია იანვარაშვილმა**

### როცა მოვალეობას პირნათლად ასრულებენ

# მისი საქმიანობა დასაფასებელი და პატივსაცემია

**ნანა ჭალიძე მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2009 წლიდან მუშაობს, იმხანად რიგით სპეციალისტად მიიღეს. თავმდაბალმა, ზრდილობიანმა, მოვალეობის პირნათლად შემსრულებელმა ახალგაზრდამ უმალ მოიპოვა თანამშრომელთა შორის ავტორიტეტი და სიყვარული. მალე საჯარო პროფკავშირული ორგანიზაციის წევრი გახდა, აქტიურად მონაწილეობდა პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობაში.**



რამდენიმე წლის შემდეგ ქალბატონი ნანა საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დააწინაურეს. მუნიციპალიტეტის მერმა თავის წარმომადგენლად დანიშნა ქ. ბორჯომის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტად. ეს თანამდებობა კომუნისტების პერიოდში ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ტოლფასი იყო, მართალია ნანას ორი სპეციალისტი ეხმარება მუშაობაში, მაგრამ მოზღვავებული საკითხების გადაწყვეტა და მერის წინაშე ანგარიშვალდებული მაინც თვითონაა. სამუშაო რომ იტყვიან, თავზე საყრელია. ესეც გასაგები არგუმენტია. ქალაქში პრობლემებს რა გამოლევს. მოსახლეობასთან ურთიერთობა ერთობ საპასუხისმგებლო საქმეა. ვინ მოთვლის რამდენ მიუსაფარ, გაჭირვებულ, მარტოხელა მოხუცს თუ ახალგაზრდას აღმოუჩინა დახმარება, ყველას მალამოდ ედება. რამდენჯერ შევსწრებივარ, მოხუცი რომ ყავს მილებაზე, მასთან ერთად ისიც ცრემლად იღვრება, პირდება დახმარებას და როცა ყველაფერი მოხუცის სასიკეთოდ გადაწყდება, შვებით ამოისუნთქავს და თავს გამარჯვებულად თვლის.

მთხოვნელთა რიგი მეტად მრავალფეროვანია, ზოგს ზამთრისთვის შეშა უნდა, ზოგს წყლი შეუწყდა, სახლამდე მისასვლელი გზა დაზიანებულია და მის შეკეთებას ითხვს, ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლადაც მასთან მოდიან და ვინ მოთვლის. გაჭირვებული ადამიანები მრავალწახნაგოვანი თხოვნით თუ საჩივრით აკითხავენ, ქალბატონი ნანაც კარგი მომრიგებელი მოსამართლესავით და მომჩივანის პრობლემების მოსაგვარებლად ხან სად არის და ხან სად. როცა მთხოვნელს პრობლემას მოუგვარებს, იმ ღამეს მშვიდად ძინავს, თუ არადა, შფოთავს, ნერვიულობს. საგულისხმოა მისი ყოველდღიური საქმიანობა, ადამიანებთან უშუალო კონტაქტი, მათი პრობლემების გათავისება ადვილი არაა. მის ყოველდღიურ საქმიანობაში ისეთი მომენტებიცაა, როცა მთხოვნელის თუ მომჩივანის საკითხს ვერ წყვეტს, მოხსენებითი ბარათით ქალაქის მერთან შედის და მისგან ითხოვს დახმარებას, მაგრამ ეს შემთხვევები ნანასთვის იშვიათი გამონაკლისია.

რწმუნებულის ფუნქცია მეტად მრავალფეროვანი მრავალწახნაგოვანია. დებულება, რომელიც რწმუნებულის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს, აუარებელ საკითხებს ითვალისწინებს, სანიტარიული წესრიგიდან დაწყებული მეზობლურ დავებით დამთავრებული.

სამუშაო საათები საკმარისი არაა მოქალაქეთა პრეტენზიების და თხოვნების მოსასმენად. არაერთხელ შევსწრებივარ კაბინეტში ტელეფონით როგორ ეხვეწება მავანს და მავან ჩინოვნიკს მარტოხელა, მიუსაფარი მოხუცის პრობლემების გადაწყვეტას. განსაკუთრებით მოხუცებს ეიმედებათ მასთან მისვლა.

ამას წინათ მოხუცი ქალბატონი ესტუმრა, რომელსაც შვილი ემიგრაციაში ჰყავს, მისგან ელოდებოდა დახმარებას, მაგრამ დახმარება დაუგვიანდა, მოხუცს პურის საყიდელი ფული არ ჰქონდა, ნანამ ოცი ლარი ამოიღო ჩანთიდან და მოხუცს გაუწოდა, ბეჩავი ცრემლად დაიღვარა, მერე მოხუცს შვილის მისამართი გამოართვა და მობილურით ესაუბრა, სთხოვა დედას მოხმარებოდა. მან ბოდიში მოუხადა, მე ჯერ კიდევ უმუშევარი ვარ და დედას ფული როგორ გამოვუგზავნოო. შემპირდნენ სამუშაოს, როგორც კი დავიწყებ, დედას დავეხმარებიო. ასეთი მაგალითები მის საქმიანობაში ხშირია. ამიტომაცაა, რომ ქალბატონ ნანას, ყველა გაჭირვებულის მეოხს და დამხმარეს ეძახიან.

სამუშაო დღის შემდეგ დაღლილ-დაქანცული სახლში ბრუნდება, დედას - ქალბატონ ეთერის მოეფერება და საოჯახო საქმეებს დაუტრიალდება.

ნანა ჭალიძე ხარობს ერთადერთი შვილით, რომელიც თბილისში სწავლობს ბიზნესტექნოლოგიური მართვის ფაკულტეტის მესამე კურსზე. პარალელურად კიდეც მუშაობს. მალე ინსტიტუტსაც დაამთავრებს და დედას მხარში ამოუდგება.

ქალბატონ ნანას განსაკუთრებული კავშირები აქვს პოლიციასთან, სამაშველო სამსახურთან მენეჯერებთან, ელქსელების და ბუნებრივი გაზის სამსახურების ხელმძღვანელებთან, იუსტიციის სახლის მესვეურებთან, წყალკანალის წარმომადგენლებთან.

სურვილი აქვს შექმნას მოხუცებულთა სახლი, სადაც თავს მოუყრის უპოვარ, ეულად დარჩენილ მოხუცებს. უკვე 14 წელია მერის წარმომადგენელია ქალაქ ბორჯომში, ამ ხნის მანძილზე ბევრი ტკბილმწარე დღეები გამოიარა, ბევრს გაუწია ქმედითი დახმარება. ხშირად აკითხავენ მადლიერი ადამიანები, მადლობას უხდიან დახმარებისათვის, რაც დიდი სტიმულია მომავალი მუშაობისათვის.

მომავალს იმედიანად უყურებს და მეც მინდა ქალბატონ ნანას ვუსურვო იმედების გამართლება. ქვეყანაში და კერძოდ, ბორჯომში ცხოვრების დონე იმდენად გაუმჯობესებულიყოს, რომ მისი კაბინეტის წინ ხელმოკლე და დავრდომილი ოჯახები დასახმარებლად აღარ მისულიყვნენ. წარმატებას ვუსურვებ მეტად ძნელ, მაგრამ საპატიო მოვალეობის პირნათლად შესრულებაში.

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

# რამდენი მარიტაა ამ სამყაროში?..

**„1971 წლის 14 თებერვალი, 16 წლის სკოლის მოსწავლისათვის, ვაკის პარკში თანაკლასელ ბიჭთან ერთად პაემანზე წასვლა საბედისწერო აღმოჩნდა, ობლად დარჩენილი გოგონა ბიძასთან ერთად ცხოვრობდა, რომელმაც ამ ფაქტის გაგებისას, გავეშებულმა ცემისგან განუკურნებელი ტრავმა მიაყენა. არ მინდა მის მდგომარეობაზე საუბარი, უადგილოა, უბრალოდ მინდა მოკლედ ვთქვა ჩემი ყველაზე უფროსი 68 წლის, ცხოვრებისგან დაჩაგრულ მარტოხელა მეგობარზე, რომელიც სიყვარულისთვის უსამართლოდ დაისაჯა. გავიდა ხანი, მოძალადე ბიძაც გარდაიცვალა, ისედაც სრულიად მარტო დარჩენილი სულ მარტო დარჩა. 4 წლის წინ გადმოვედი სხვა უბნიდან საცხოვრებლად და ჩემსა და მის საცხოვრებელს ყოფს გზა (გამზირი). უბნის მარკეტში ვიყავი პირველად რომ გავიცანი, კარაქის ყიდვა უნდოდა და ქონდა ღირებულების ნახევარი, მოლარეს სთხოვდა არა დაკლებას, არამედ გაყოფას, იმ თანხის ოდენობის კარაქი სურდა, რამდენი თანხაც ჰქონდა. მოლარე ეხვეწებოდა, წაიღე ეგ თანხის ნაწილიც არ მინდაო, ის ჯიუტად თხოვდა გაყოფას, მის უკან ვიდექი რიგში და თავი უხერხულად არ იგრძნოს-თქო, შევთავაზე რომ ღირებულების ნახევარს მე გადავიხდიდი და კარაქი შუაზე გაგვენაწილებინა, დამთანხმდა. ამ დღის შემდეგ დაიწყო ჩვენი მეგობრობა. მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამოდინარე, ხშირად ვერ მცნობდა და დიდი თმენით ვიტანდი იმასაც, რასაც ვიტანდი... თუ ვინმეზე გაბრაზდებოდა, აუცილებლად სამსახურიდან დაბრუნებულს სადარბაზოსთან დამხვდებოდა და ლანძღვით შემაცილებდა, ჩემზე იყრიდა ჯავრს, თუმცა უზომოდ კეთილი იყო, თუ ვინმე რამეს აჩუქებდა განსაკუთრებულს, ის აუცილებლად ჩემთვის უნდა მოეტანა. ყველაფერი საუკეთესო ემეტებოდა ჩემთვის. ხანდახან ამ ნაჩუქარსაც რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდოდა, მომთხოვდა. დაბადების დღეზე 20 ლარი მაჩუქა, მეორე დღეს სამსახურში მომაკითხა, „იმ საქონელს“ უთხარით, გამოვიდეს და ჩემი ოცი ლარი გამომიტანოსო, უკან წამართვა, საღამოს გონზე რომ მოვიდა, ისევ უკან მომიტანა თავჩაქინდრულმა. ღმერთი უყვარდა და პატივს ცემდა, არასოდეს წამოვიდოდა წირვაზე კაბის გარეშე.**

**ტაძრისთვის ერთი კაბა ქონდა რომელსაც ღმერთის კაბას ეძახდა და მხოლოდ ტაძარში იცვამდა, სუსანა ერქვა, სუსს ვეძახდი, სულ იცოდა, როდის მივდიოდი სამსახურში და როდის ვბრუნდებოდი. ყოველ დილით სადარბაზოსთან უნდა დამხვედროდა. მე კი აუცილებლად ნაგავი უნდა მქონოდა, რათა გამოერთმია და გადაეყარა, ამით პატივისცემას და მადლიერებას გამოხატავდა, თითქოს მიმსუბუქებდა ნაგვის გადაყრით ყოფას - მისი აღქმით. მეც შევაქებდი, შენ რომ არა, რა მეშველებოდა-თქო და ეს უხაროდა... მისი ცხოვრება ერთი დიდი ისტორიაა, არ მინდა, ისე დასრულდეს მისი ისტორია და სახელი, რომ დავიწყებას მიეცეს. სკივრში ვიპოვე მისი ჩანაწერები საკუთარ თავზე, 1980 წლიდან 2023 წლამდე.**

**საჯაროდ ვდებ პირობას, რომ თუ საკუთარი ხარჯებით ვერ შევძელი მისი ჩანაწერების წიგნად გამოცემა, მისგან ჩემთვის დატოვებულ კოვზსაც კი გავყიდი, რათა მისი სახელი არასოდეს მიეცეს დავიწყებას. ძალიან მიმძიმს უმისობა, ვერ ვითავისებ, რომ 68 წლის მეგობარი ხვალ მიწას უნდა მივაბარო... უმორჩილესად გთხოვთ, უფალს შეავედრეთ, რათა მისმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდროს სავანე.**

**არ შემიძლია მადლიერება არ გამოვთქვა ქ. თბილისის მერიის მიმართ, უსასყიდლოდ გადმოცემული დასასაფლავებელი მიწის ფართობისთვის.**

**განსაკუთრებული მადლობა გაგუას კლინიკის ადმინისტრაციას გაწეული ამაგისა და ყველანაირი დავალიანების განულებისათვის...**

- ეს წერილი ბორჯომთან არანაირკავშირშია, მაგრამ ყველას უმორჩილესად გთხოვთ, მოიხსენიეთ მონა ღვთისა სუსანა“.

აღნიშნული ტექსტი სოციალურ ქსელში რამდენიმე დღის წინ „მე მიყვარს ბორჯომის“ პირად გვერდზე, გვერდის ადმინისტრატორმა განათავსა. გეტყვით, რომ იმდენად იმოქმედა პოსტის წაკითხვამ ჩემზე, რომ გვერდის ადმინისტრატორს დავეკონტაქტე და ვთხოვე, თუ იქნებოდა შესაძლებელი რომ აღნიშნული ტექსტი გაზეთ „ბორჯომის“ ფურცლებზეც დაგვებეჭდა. მისი პასუხი კი იყო - ჩემი ვინაობის დაწერა არ მსურს, მიუხედავად იმისა, თითქმის ყველა მიცნობს, გაძლევთ უფლებას, გაზეთში დაბეჭდოთ. როდესაც მიღებული პასუხის შემდეგ მას დამატებით მეგობრის შესახებ ვკითხე და მისი ჩანაფიქრი შევუქე, რომ ნამდვილად კარგი იდეა იქნება, სამომავლოდ მის შესახებ ბევრმა ადამიანმა გაიგოს, ასეთი რამ მითხრა: **„როგორც მშობელი უვლის შვილს, ზუსტად ისე ვუვლიდი, პატარა ბავშვივით, მისი ცხოვრება იყო მხოლოდ წუხილი და ტკივილი, სევდისთვის დაიბადა. არ მინდა გაქრეს და დაიკარგოს, დღეს, ხვალ ვერ, მაგრამ აუცილებლად ყველაფერს გავაკეთებ, რომ მისი სახელი წიგნებად დარჩეს თუნდაც ერთი კონკრეტული მკითხველისათვის. თქვენ მადლობა ყურადღებისთვის, გისურვებთ სიკეთეს.**



მე ჩემის მხრივ იმას დავამატებდი, რომ აღნიშნული ისტორიის წაკითხვა ვინ იცის რამდენ ადამიანს დააფიქრებს? გაახსენებს საკუთარ ნაცნობს, მეგობარს, ოჯახის წევრს. დიახ, იმ ადამიანებს, რომლებიც ისევ ოჯახის წევრებისაგან იქნენ უარყოფილები. როგორც ქალბატონი სუსანა იყო დაჩაგრული ბიძის მხრიდან. ადამიანი ხომ სიყვარულისთვის იბადება და ისევ სიყვარულის გამო ისჯება, უმეტეს შემთხვევაში ჩვენდა სამწუხაროდ. მართლაც რამდენი მარიტაა უკიდეგანოდ შეყვარებული და ისევ რამდენი ციციკორეა ჩვენ გარშემო, ამ ბედკრულ სამყაროში.

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

# იყიდება საქართველო!..



**ყოფილი დეპუტატი, ხათუნა ხოფერია სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს, სადაც პროფკავშირების თავმჯდომარეს აკრიტიკებს და ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ქონების გადარჩენას ითხოვს:**

**,,ამ ერთხელ ვიტყვი! კიდევ ერთხელ შემოვკრავ განგაშის ზარებს! ერთხელ ვეტყვი ხელისუფლებას, რომ მიხედოს!**

**საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარეს, ირაკლი პეტრიაშვილს, ამ პოსტზე ყოფნის ბოლო თვეები დარჩა! კანონით გათვალისწინებული ფაშად ყოფნის და ქვეყნის, ანუ ჩვენი საერთო ქონების გაყიდვის საშუალების ყველა ვადა ეწურება!**

**სულ მეგონა, რომ მილიარდობით ლარის ქონება, რომელიც პეტრიაშვილმა 2005 წელს ჩაიბარა, უკვე ბოლომდე ჰქონდა ,,გასუხარებული“, მაგრამ არა... შემოუტოვებია ტკბილი ლუკმა!**

**ამიტომ!!!.. ახლა, ბოლოჯერ, შემოვკრავ განგაშის ზარს!!!**

SOS!!! SOS!!! SOS!!!

**გადაარჩინეთ პროფკავშირების ბალანსზე რიცხული და ჯერ კიდევ არგაყიდული ქონება!!! გადაარჩინეთ სასწრაფოდ!!! რადგან უკვე დასრულდა მოლაპარაკებები და ამ საგანძურსაც საკუთარი ჯიბისთვის გაყიდის!!!**

**კორუფციული სქემით გასაყიდად გამზადებული ქონების ნუსხა:**

**1. ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა წაღვერში მდებარე „პანსიონატი კეცხობი“ ხსენებული უძრავი ქონების შეძენით და მასზე დასასვენებელი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობით“, პეტრიაშვილთან ერთად დაინტერესებულნი არიან საქართველოს მოღვაწე ბიზნესმენები;**

**2. ქ. თბილიში, დაბა წყნეთში არსებული პროფკავშირების ბალანსზე რიცხული მიწის ფართობი, შემდგომში ნაკვეთზე სასტუმრო კომპლექსის შესძლო მშენებლობის მიზნით. (მადლობა წყნეთელებს ამ ინფორმაციის მოწოდებისათვის!).**

**3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. პატარძეულში და სოფ. გიორგიწმინდაში არსებული პროფკავშირების ბალანსზე რიცხული მიწის ფართები და მათზე არსებული შენობა-ნაგებობები.**

**...და მაინც შეგახსენებთ!!! ი. პეტრიაშვილმა ბოლო პერიოდში გაასხვისა:**

**1. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე გაერთიანებული პროფკავშირების ბალანსზე რიცხული მიწის ფართობები;**

**2. ქ. თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე შენობა. პროკურატურაში დევს 5 წლის წინ შეტანილი სარჩელი...**

**რედაქციების არქივებში არის ჩანაწერები და ჩვენი გულისწუხილი!!! რა ვიცი... მიხედეთ! ნუ შეაჭმევინეთ ამ კაცს საქართველოს და ქართველი ხალხის ნაშრომ-ნაოფლარს!“, - წერს ხათუნა ხოფერია.**

***P.S. სამწუხაროდ, წაღვერის პანსიონატი „კეცხობი“ გაიყიდა. როგორც ამბობენ, 10 მილიონად, ასევე გაიყიდა ბორჯომში პლატოზე არსებული „კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი“, მყიდველები ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ.***

### ეს ზღაპარია! გილოცავთ მასწავლებლის საერთაშორისო დღეს!

# ჩემი მომავალი - მთლიანად ხალხის სამსახურში ყოფნაა



**დამრიგებელი:**

თითოეული ჩვენგანის არსებობა, როგორც ცოცხალი არსებებისა, იმ წამიდან აითვლება, როდესაც სამყარო პირველ სუნთქვას გვჩუქნის. რაც შეეხება ცხოვრების საწყის წერტილს, ის ყოველი ჩვენგანისათვის განსხვავებულია". ჩემი სიცოცხლის დასაწყისს კი **დამრიგებელი** ჰქვია! ისტორია, რომელსაც დღეს გიამბობთ რვა წელს ითვლის.

უანგარო სიყვარული, ზრუნვა, დაუღალავი შრომა, სიახლეები, პიროვნული ზრდა, ბედნიერება, ტკივილი, სიკეთე, ბოროტება, დაცემა, წამოდგომა, ბრძოლა და წინსვლა - ეს არის ჩამონათვალი იმ ყველაფრისა, რომლებიც მთავარ თემად გასდევს ჩემს ისტორიას და ერთ წერტილში იყრის თავს, წერტილში, რომელიც არის მისი გული და რომელსაც ჰქვია - **ლია გულიკაშვილი!**

ეს ზღაპარია!

ზღაპარი, რომელსაც თან ახლავს სირთულეები, აღმართ-დაღმართები, სიბნელეცა და სინათლეც.

ზღაპარი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა.

ზღაპარი, რომელშიც უთუოდ სძლევს კეთილი ბოროტს.

ზღაპარი, რომლის მთავარი გმირი არის დამრიგებელი!

ყველა მაგიური მომენტი შესაფერის გარემოში, სწორ დროს დგება. ჩემი ზღაპრისათვის მსგავს იდეალურ ადგილად ბორჯომის №1 საჯარო სკოლა იქცა. სკოლა, რომელმაც ჩემი და თქვენი გზები გადაკვეთა და სამუდამოდ შეართა, ლია მასწ!

სკოლა, რომელიც თქვენ გვიქციეთ სახლად, ტაძრად, ანთებულ ლამპრად. საკურთხევლად, სადაც დაიწყო მთელი რიგი სასწაულები ჩვენს ცხოვრებაში. სასწაულები, რომელთა შესახებაც მთელმა ქალაქმა, ქვეყანამ თუ მსოფლიომ უნდა იცოდეს!

სასწაულები, რომლებითაც თქვენ ყოველდღე ქმნით ისტორიას. სასწაულები, რომლებიც მუდამ ემსახურობიან ერთ მიზანს: ჩვენი, როგორც აღსაზრდელების, გონებრივ განვითარებასა და პიროვნულ გაჯანსაღებას, რაღა თქმა უნდა, იმისათვის, რომ მომავალში, სწორი მორალური კომპასით აღზრდილი შვილები, თქვენი საყვარელი სამშობლოს აღმშენებლობაში ნამდვილი, პატრიოტიული სულისკვეთებით განმსჭვალულნი ჩაებან.

რთულია ქრონოლოგიის დაცვა რვა წლიანი ღვაწლის აღწერისას, თუმცა, მჯერა, რომ საერთო სურათის წარმოდგენისათვის ყველაზე ემოციური, მასშტაბური, პატრიოტული, კრეატიული პროექტების გახსენებაც კი საკმარისი იქნება. ისეთი პროექტებისა, როგორებიც საუკეთესოდ გიჩვენებთ ნამდვილ სახეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისა, როგორც სამშობლოზე გულის გახეთქვამდე შეყვარებული ქართველისა და თავშეწირული დამრიგებლისა, რომლისთვისაც სამყაროს ეპიცენტრი, მისი ნათელი წერტილი თავისი მოსწავლე-შვილები არიან.

ამ მოგზაურობას, ჩემი ზღაპრის ფურცლებში, ახლო წარსულის გახსენებით დავიწყებ. მერწმუნეთ, თქვენთვის ყველაზე საინტერესო ამბები, რომელთა აქ ამოკითხვასაც უმეტესი თქვენგანი ელის, სწორედ აქედან იწყება.

### თავი I

**„ვეფხისტყაოსნის" დღეები.**

დღეები, როდესაც ლია მასწავლებელმა მოახერხა და ორი ქვეყანა - ისრაელი და საქართველო, ორი დრო - წარსული და აწმყო, ვირტუალურად გააერთიანა.

მიუხედავად იმ დაბრკოლებისა, რომელიც უამრავი კილომეტრითა თუ წლით დაშორებამ გამოიწვია.

დღეები, რომლითაც გვიჩვენეთ, რომ არაფერია შეუძლებელი! თუ გული სიყვარულით გიძგერს.

დღეები, როდესაც პოემამ საბოლოოდ შემოაღწია ჩვენს სულებში და იქ, მის სიღრმეში, დაიმკვიდრა სამუდამო სამყოფელი.

პროექტი, რომლითაც ლია მასწავლებელმა გვაზიარა რუსთველის ჭეშმარიტ ხმას და დაგვეხმარა საკუთარის მოძიებაში.

ჩემს შემთხვევაში, ეს ხმა გახდა ასმათი. ქალი, რომელმაც განსაზღვრა ჩემი პრიორიტეტები, ქალი, ვისი ჭეშმარიტი სახის დანახვაშიც დამეხმარა, ლია მასწ.

სწორედ ამ პროექტმა გვასწავლა და ვფიქრობ, მოგვამზადა კიდევაც იმ უდიდესი სირთულეებისათვის, რომლებსაც მომდევნო წლებში ერთად შევეჩეხეთ, და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მომავალშიც მრავლად შევხვდებით, ეს არის ცოდნა იმისა, რომ ბოროტება მუდამ უპირისპირდება სიკეთეს. ბნელი კი ნათელს, და ალბათ, სწორედ ეს აქცევთ ამ უკანასკნელთ სასწაულებად. თუმცაღა, დანებება როდია გამოსავალი, წუთისოფლისა თუ მისი შვილების უგვარობა - აღსასრული.

### თავი II

**„ბორჯომო - საქართველოს მშვენებავ!"**

სამშობლოს სიყვარული შენი კუთხის, შენი ქალაქის სიყვარულით იწყება. ეს გაკვეთილი ლია მასწავლებელმა თავისი ჩვეული კრეატიულობით გვასწავლა. პროექტმა, რომელიც ჩვენი და ევროპის უნივერსიტეტის თანამშრომლობით განხორციელდა, მოიცვა ჩვენი პატარა ქალაქის უმნიშვნელოვანესი, უძველესი ღირშესანიშნაობები, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. რწმენა ჩვენი ცხოვრების ამოსავალ წერტილად აქცია. სწორედ ამან გაგვაძლიერა და გადაგვალახვინა ჩვენს გზაზე გამოგზავნილი თითოეული ცდუნება, ბოროტება. ამასთან ერთად კი, ჩვენი ცხოვრების დამრიგებელმა, კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ უწარსულოდ არ არსებობს აწმყო და ვერც იარსებებს მომავალი. ერთმანეთის გარეშე.

### თავი III

**„სიცოცხლე მინდა"**

ყველა კარგი ზღაპრის კულმინაცია ერთიორად გრანდიოზული და დასამახსოვრებელია.

ჩვენი ფინალური აქტი რვა წლიანი შრომისა, არავისდა გასაოცრად, ყველაზე მეტი წინააღმდეგობით იყო სავსე და ჯერ არნახული, უნიკალური სიუჟეტური ხაზით გამოირჩეოდა.

ეს იყო იდეალური სინთეზი ტკივილისა და იმედისა, რეალური სამყაროს სიბოროტისა და მისი ყველა კეთილისა.

ყველა ამ სასწაულის შემდეგ, ერთადერთი რეალური პიროვნება ჩვენს ყოველდღიურობაში, რომელიც მუდამ ყველაზე ახლოს იყო იმ ზნეობრივ იდეალთან, რომლის შესახებაც ნოველები, მოთხრობები და პოემები გვიამბობდნენ, და თავად გვასწავლიდით, იყავით თქვენ, ჩვენო დამრიგებელო.

თქვენ შეიქმნით სიმბოლოდ თავგანწირვისა, ნდობის, სიკეთის, სიყვარულის, სამართლიანობის, სიძლიერის, სიამაყის, კრეატიულობის, შრომისა და ერთგულებისა იმ სამყაროში, იმ საზოგადოებაში, რომელიც მუდმივად იბრძვის თქვენი მსგავსი ნაპერწკლების გაღვივებისათვის.

და ახლა, როდესაც მშობლიური ქალაქისგან შორს, უცხო სამყაროში აღმოვჩნდი, დღემდე დამყვებიან თქვენი ხმის ექოები, რომლებიც გამუდმებით, განმეორებით ჩამძახიან ერთსა და იმავე სიტყვებს: „უჩვენე მათ, ვინ ხარ შენ!"

„მე", რომელიც შექმენით თქვენ, რომელიც სამარადისოდ იქნება მადლობელი თქვენი სიყვარულისა.

„მე", რომელიც ყველგან და ყოველთვის, სიამაყით ანთებული, გულის ფანცქალით, სახეზე თქვენებური, გულრწფელი ღიმილით იტყვის, რომ მის ცხოვრებაში არსებობს ქალი, დედა, მეგობარი, მასწავლებელი, დამრიგებელი, მისი თანამედროვე გმირი - ლია გულიკაშვილი.

● **გვიამბე, როგორია უნივერსიტეტში გატარებული პირველი დღეების ემოციები?**

- შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერია, რასაც ველოდი და არ ველოდი! უკვე ერთი კვირაა, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ და მგონია, რომ მთელი ცხოვრება აქ გავატარე. საუნივერსიტეტო ცხოვრება უფრო სწრაფი და რიტმულია, მაგრამ ეს სისწრაფე მალევე გიტაცებს და მის ნაწილად გაქცევს, ამიტომაც თავი „უცხოდ" ან „დაბნეულად" არც ერთ წამს არ მიგრძვნია. საუკეთესო ლექტორები და კურსელ-ჯგუფელები მყავს, რომლებიც დადებითი ემოციებით მავსებენ, კომფორტულ, სასიამოვნო გარემოს მიქმნიან და ზრუნავენ, იმისათვის, რომ საუკეთესო სტუდენტური ცხოვრება მქონდეს. ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში კიდევ ერთხელ, ძალიან გამიმართლა და „თსუ" ნამდვილად ის ადგილია, სადაც უნდა ვიყო!

● **მომავალი, რომელშიც საკუთარ თავს ხედავ?**

- მომავლის ფიქრები არასდროს, არც-ერთ ადამიანს ასვენებს. გამონაკლისი არც მე ვარ და სიმართლე გითხრათ, ჩემი მომავლის განვითარების უამრავი შესაძლო ვარიანტიც მაქვს წარმოდგენილი, თუმცაღა მგონია, რომ საკუთარ მომავალზე ხმამაღლა და წინასწარ საუბარი რიგი მიზეზების გამო არ შეიძლება, მაგრამ ჩემს მოლოდინებს კი გაგიზიარებთ. ვიმედოვნებ, რომ შევძლებ საკუთარი თავისათვის ისეთი მომავლის შექმნას, რომელიც მომცემს საშუალებას ჩემი შესაძლებლობებისა და უნარების სრულიად რეალიზებისა. მინდა, რომ ის მომავალი, რომელშიც საკუთარ თავს ვხედავ, მთლიანად ხალხის სამსახურში ყოფნასა და ყველა იმ პრობლემის მოგვარებისათვის ბრძოლას მიეძღვნას, რომლებიც დღეს თითოეულ ჩვენგანს გულს უკლავს.

● **რა მოგონებებს დაუკავშირებ ბორჯომსა და სკოლას?**

- რთულია ერთი ან რამდენიმე მოგონების არჩევა მაშინ, როცა ჯერ კიდევ თვის დასაწყისში, ჩემი მთელი ცხოვრება ბორჯომსა და №1 საჯარო სკოლას უკავშირდებოდა. რასაკვირველია, ეს კავშირი სამუდამოა, ბორჯომი ხომ ჩემი სახლია, ჩემი სკოლა კი, თითოეული მოსწავლე-პედაგოგით - ოჯახი. ეს ის ადგილია, სადაც გავიზარდე, აღვიზარდე და ადამიანად ჩამოვყალიბდი. ადგილი, სადაც ვიყავი შვილი, მოსწავლე, მეგობარი და მოქალაქე. ყველა ამ ზემოთ აღნიშნულს კი, ალბათ, ყველაზე მძაფრად მაშინ განვიცდიდი, როდესაც სკოლიდან გამოსული, მტკვრის სანაპიროს მივუყვებოდი, იქვე, ჩემს საყვარელ სკამზე ჩამოვჯდებოდი და განვლილ-გასავლელ დღეებზე ვფიქრობდი. მგონია, რომ ჩემი რუტინის ეს განუყოფელი ნაწილი, აწ უკვე მოგონება, ყოველთვის საუკეთესო იქნება და ყველაზე მეტადაც, სწორედ იმ სიახლოვისა და უსაფრთხოების შეგრძნება მომენატრება, რომელსაც სალამოხანს, ჩემს პატარა ქალაქში, ჩემს სკოლასთან ახლოს, მდინარის პირას ჩამომჯდარი ვგრძნობდი ხოლმე.

● **გკითხავთ ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგებზე, თქვენი გზავნილი წარმატებაზე, როგორ მიიღწევა აღნიშნული შედეგი?**

- ეროვნული გამოცდები ჩემი და ჩემი თანატოლთა ცხოვრების უდიდესი და ურთულესი გამოწვევა იყო. გულრწფელად გეტყვით, რომ ამ ყოველივეს თან ახლდა განუზომელი ღელვა, შიში და ასევე, აღფრთოვანებაც. გამოცდების საბოლოო შედეგი კი 70%-იანი გრანტი იყო. როგორც მაქსიმალისტი ადამიანი, საკუთარი თავისაგან უფრო მეტსაც მოველოდი. განსაკუთრებული მადლობა ჩემს რეპეტიტორებს, შემდგომში კი თითოეულ თქვენგანს: ოჯახს, მეგობრებს, მასწავლებლებს, ნაცნობებსა თუ უცნობებს, ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ჩემი ქულები, ჩემი შრომის შედეგი, ჩემთან ერთად იზეიმეთ და წრფელი სიხარულით გაიზიარეთ. მსგავსი შედეგი, მხოლოდ მონდომებით, დაუღალავი შრომითა და პედაგოგებისაგან ხელშეწყობით მიიღწევა.

წლევანდელო აბიტურიენტებო, მინდა გითხრათ, რომ გჯეროდეთ საკუთარი თავის, მიჰყევით თქვენს პედაგოგებს და არასდროს, არასდროს არ დანებდეთ!

მოამზადა **ია იანვარაშვილმა**

**ირმაკო კიკაძე იმ ერთეულ ახალგაზრდებს შორისაა, რომელმაც 70%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 100%-იანი გრანტისთვის მხოლოდ 0.3 ქულა იყო საჭირო.**

**ჩვენს საუბრამდე რესპონდენტის ჩანაწერით მინდა გავაცნო მკითხველს. როგორი გულიდან წამოსული ფიქრებია ფურცელზე გადატანილი, ისეთი წერის კულტურა და სიყვარული, რომ ჩანაწერის წაკითხვის დასაწყისშივე გულს აგიფრიალებს.**



### ვიცოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია

# ცემი და ისტორიული ეიფელის ხიდი

**ბორჯომ-ბაკურიანის** ვიწროლიანდაგიან რკინიგზას 2023 წლის 1 აგვისტოს 121 წელი შეუსრულდა. მისი მშენებლობა 1897 წელს დაიწყო და 1902 წელს დამთავრდა. მშენებლობა მიმდინარეობდა რთულ პირობებში. ოთხი წლის განმავლობაში მუშებს მთა-კლდოვან ადგილებში დიდი შრომის ფასად გაყავდათ რთული კონსტრუქციის გზა.

რკინიგზის გაყვანის იდეა ეკუთვნის მიხეილ რომანოვს, რომელმაც 1895 წლის 27 მაისს ხელი მოაწერა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობის პროექტს. პირველად პროექტით რკინიგზა უნდა აშენებულიყო წაღვერამდე, 19-კილომეტრიან მონაკვეთი და უნდა ყოფილიყო ფართო ლიანდაგიანი.

აი რას წერენ რუსი ჩინოვნიკები ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც გამოცემულია 1903 წელს.

- ბორჯომ-წაღვერის მონაკვეთის მშენებლობაზე დაიხარჯა 385175 მანეთი, ხოლო ბაკურიანის ხაზის მშენებლობაზე 912521 მანეთი, სულ 1499696 მანეთი.

ჩინოვნიკები წერენ, რომ მიწა მშენებლობისათვის უსასყიდლოდ გადაეცა დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რომელმაც შეადგენდა 183,470 დესეტინა. ამავე დროს ფულადი დახმარებაც გაუწევია 12,928 მანეთის ოდენობით.

სხვათაშორის რკინიგზის მშენებლობის პროცესში ითვალისწინებდნენ, თუ რკინიგზა

გაგრძელება, დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი" №40.

გაივლიდა კერძო მოსახლის მსხმოიარე ბაღზე და გაიჩეხებოდა კომპესაციისათვის გამოყოფილი იყო მანეთი, ხოლო თუ შენობებს დაშლიდნენ გამოსყიდვის სახით იხდიდნენ 7346 მანეთს.

მშენებლობას აწარმოებდნენ ადგილობრივებთან ერთად ბერძნები, სომხები და თათრები (თურქები) რუს მოხელეებთან ერთად აქტიურად მუშაობდა ქართველი მშენებელი ივანე ვარაზიშვილი, რომელსაც ევროპაში ჰქონდა მიღებული განათლება. ივანე ვარაზიშვილმა მომდევნო წლებში რკინიგზის მშენებლობა დაიწყო ირანში, სადაც კეთილსინდისიერი საქმიანობისათვის იმდროინდელ შაჰისგან მადლობაც კი დაიმსახურა. იგი ბოლშევიკების შიშით ვერ ჩამოვიდა საქართველოში. ფერეიდანში დარჩა და იქაურ ქართველებს ასწავლიდა ქართულს, მათემატიკას, ისტორიას. ოცდაათიან წლებში (ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი) გარდაიცვალა და იქვე მართლმადიდებლურ ეკლესიაში არის დასაფლავებული, ხოლო მისი მეორე ძმა ფილიპე 1928 წელს წარდგენილი ყოფილა ნობელის პრემიაზე, მაგრამ მთავრობამ საზღვარგარეთის ვიზა არ მისცა, ამიტომ ნობელის პრემია ვერ მიიღო.

მშენებლობა მხოლოდ ზაფხულობით მიმდინარეობდა. სამშენებლო მასალად გამოყენებული იყო ძირითადად ანდეზიტის ქვა, რომლებიც ურმებით გამოქონდათ.

იჭრებოდა უამრავი ხე-ტყე, შემდეგ იქვე მზადდებოდა, ადგილზე იხერხებოდა და განძელად იყენებდნენ. თავდაპირველად ხის შენობებს აშენებდნენ, თუ დაუკვირდებით ცემში, ლიბანში დღესაც არის შემორჩენილი ხის სახლები, ხოლო სადგურები კაპიტალურად შენდებოდა, შემდეგ წლებში ქვის შენობები აშენდა.

მეტად საინტერესოა როგორც იმ დროისათვის მართლაც უნიკალური ხიდი. თავდაპირველად აუშენებიათ ძირიდან საყრდენები, ხოლო შემდგომ გვერდებზე ქვის



ბურჯები ამოუყვანიათ. დღეს ადვილად შეამჩნევთ ხიდის გარშემო შემოვლით გზას, სანამ ხიდი აშენდებოდა, გზის მშენებლობის პარალელურად ხიდის მშენებლობაც გრძელდებოდა, ორთქმავალი განაგრძობდა ბაკურიანამდე ტვირთის ზიდვას, როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ, რკინის ხიდი პარიზშია დამზადებული და ნაწილ-ნაწილადაა ჩამოტანილი და შემდეგ ფერმები ორთავე მხრიდანაა მიტანილი და შეერთებულია მოქლონებით. იმ პერიოდისათვის უნიკალური ნაშენებია, მოგეხსენებათ, რომ ხიდის ფერმების (ანუ ნაწილების) შეკავშირება დღეს ელექტრო შედუღებით ხდება, ხოლო მაშინ ინჟინერ ეიფელის მეთოდითაა ანუ მოქლონები გამოიყენეს. გადაბმა, რომელიც აბსოლიტურ სიზუსტეს მოითხოვს, ნაწილების დაკავშირებას, ურთიერთ ნახვრეტების დამთხვევით, აგერ საუკუნეზე მეტია დგას ხიდი და როგორი მყარი და გამძლეა. ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება ხალხის სამსახურში.

როგორ ცნობილია, ორთქმავლები დიდძალ წყალს ხმარობდნენ, ორთქმავლები ცხელი წყლის ჭავლის საშუალებით მოდის მოძრაობაში, ორთქმავლის სისტემა კი, შიდა მოწყობილობა უჟანგავი რკინის მილები იყო გაწყობილი, რომლებიც ცხელი წყლის ხშირი მოქმედებით მაინც განიცდიდა კოროზიას და იჟანგებოდა, წყალი კი აუცილებელად სუფთა უნდა ყოფილიყო, პრობლემა საკოჭავის ტერიტორიაზე ბერონწყაროს აღმოჩენით გადაწყდა, რომელიც მართლაც რომ ზედმიწევნით გამოსადეგი გახდა ორთქმავლებისათვის.

აი, რას წერს მისი აღმომჩენი: - ნიკოლაევის (ლიბანის) სადგურის სიახლოვეს სანატორიუმი უნდა აშენებულიყო. სიტყვა ლიბანი (ძველქართული - ლიგანი) კი ტყის ჯიშების სახელწოდებიდანაა წარმოშობილი, რადგანაც XX საუკუნის სანატორიუმი 30-იან წლებში უნდა აშენებულიყო ნიკოლაევს ხომ არ დაარქმევდნენ ბოლშევიკები? აიღეს და ნაძვის, ფიჭვის და სოჭის ტყის სახელით მონათლეს. ლიბანი (ლიგანი) ძველი ქართულით ტყის მასივს ნიშნავს.

**(გაგრძელება იქნება)**



# ვულოცავთ!

**ჩვენს ერთგულ მეგობარს, საყვარელ ადამიანს ჯუმბერ ციცქიშვილს ვულოცავთ დაბადების 75 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, ღვთის წყალობას.**

**მეგობრები, ვეტერანები.**

# მუნემის უმაღლო მგოსანი



**ბორჯომის სარაიონო მთავარი ბიბლიოთეკა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორია - დირექტორი (ქალბატონი ნაირა ამანათაშვილი).**

მკითხველთა მოზიდვის მიზნით სხვადასხვა თემებზე ეწყობა საუბრები, წიგნების განხილვები, შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან.

ამას წინათ ბიბლიოთეკართა სემინარზე მოწვეული იქნა მწერალთა კავშირის წევრის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ბორჯომელებისათვის კარგად ცნობილი პოეტი და მწერალი **უშანგი ჯანგირაშვილი.**

ნანა სალაღაიამ ვრცლად ისაუბრა უშანგი ჯანგირაშვილის და იოსებ ჯანგირაშვილის წიგნის „ვაჟას მხატვრულ სამყაროში“, შესახებ.

განხილულ იქნა ფშავის ცხოვრება, გმირების რაინდული სული, სტუმარმასპინძლობის მაღალი იდეალები, ადამიანური ღირებულებებით და ღირსებით დაჯილდოებული მოქმედი პირები, როგორი უნდა ვიყოთ და როგორი არა, ვაჟამ უსულო საგნებს სული შთაბერა და ღვთაებრივი თეზისი დაგვიტოვა. **„ადამიანებო, გიყვარდეთ ერთმანეთი“,** აი ესაა ვაჟას შემოქმედების ქვაკუთხედი. დღესაც აქტუალურია.

სამართლიანობა აუცილებელია და არა ქონებრივი სიმდიდრე.

ვაჟას მოთხრობები ბუნების დიდი წიგნია, ამავ დროს ზნეობის დიდი წიგნიცაა.

**გარჩეულ იქნა გმირების სახეები:** სიტყვაში გამოვიდა ქვაბისხევის ბიბლიოთეკარი **ქეთინო სარალიძე.**

ბატონ უშანგის მადლობა გადაუხადა **იზოლდა გუგუბერიძემ.** საკუთარი ლექსი წაიკითხა **ნანა გაიხარაშვილმა;**

იმდენი რამაა სალაპარაკო ქართული გენიის - ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე დასრულება არ გვსურდა...

მადლობა ყველას საკუთარი აზრის გამოხატვისთვის. ბატონმა უშანგი ჯანგირაშვილმა საკუთარი წიგნები საჩუქრად გადასცა ყველა ბიბლიოთეკარს.

**ნანა სალაღაია,**
**ღონისძიების ორგანიზატორი.**

# ბაკურიანის მისაბაძი ადამიანი

**ბაკურიანს ყოველთვის ყავდა წარჩინებული ადამიანები. ამ ბოლო წლებშიც აშკარად გამოჩნდა წარმატებული ბიზნესმენი ვლადიმერ სტეფანიანი, რომელმაც დიდველის მიმდებარედ გააშენა შესანიშნავი სამთო-სათხილამურო კომპლექსი: უმაღლესი დონის სასტუმრო, საბაგირო გზა, სათხილამურო ტრასები, საციგურაო მოედანი, ბავშვთა გასართობი მოედნები, სათხილამურო გასაქირავებელი პუნქტები, ფეხბურთის და ფრენბურთის მოედნები. სათხილამურო ტრასის მიმდებარედ გაკეთებულია ხელოვნური ტბა.**

**ბაკურიანის და ბორჯომის სპორტსმენებისათვის, ტურისტებისთვის და მოქალაქეებისათვის, ყოველ სეზონზე ეს სპორტული ნაგებობები დასვენების და შემოსავლის წყაროა.**

**ჩვენი ქვეყნის პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოინახულა და ღირსეულად შეაფასა საბაგირო გზისა და მთლიანი კომპლექსის სრულყოფილება.**

**ჩვენც პატივისცემით გამოვხატავთ მადლიერებას ვლადიმერ სტეფანიანის მიმართ. იგი შესანიშნავი ქველმოქმედი და ბაკურიანელთა (არამარტო მათი) ერთგული მეოხია.**

**ისე კი დროა, რომ ბაკურიანის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინოს ის, რომ ბატონ ვლადიმერს ეკუთვნის ბაკურიანის საპატიო მოქალაქის წოდება!**

**ოთარ გოცირიძე**

# სამუშაოები ოქტომბერში დასრულდება



**სტიქის** შედეგად დაზიანებული ახალი უბნის გზისა და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია სამწუხაროდ, ამ დრომდე არ დასრულებულა და ჯერ ისევ მიმდინარეობს. ამ ეტაპზე საყრდენი კედლის 66 მეტრიანი მონაკვეთი უკვე აღდგენილია, თუმცა სამუშაოების ჩატარებას დამატებით 25 მეტრი საჭიროებს. სამუშაოების დასრულება სექტემბრის ბოლოს იგეგმებოდა, თუმცა თვენახევრით გახანგრძლივდა. როგორც „საქართველოს სამშენებლო კომპანიის“ დირექტორმა, იოსებ არჯევანიძემ აღნიშნა, დარჩენილია ბოლო სექციის სამუშაოები, რომელიც ეტაპობრივად მოიცავს კედლის ბეტონირების სამუშაოებს და საბოლოოდ სამანქანო გზისთვის განკუთვნილი მონაკვეთისა და ტროტუარის დასრულებას. სარებილიტაციო სამუშაოები ოქტომბრის ბოლო რიცხვებისათვის დასრულდება. სამწუხაროდ, სამუშაოების ჩატარების პროცესში აღნიშნული ტერიტორიის გასწვრივ, სადაც მინერალური წყლის ჭაბურღილები მდებარეობს, დამატებით გამოიკვეთა ახალი პრობლემა, დაზიანებული კედელი, რომელიც ასევე აღდგენას საჭიროებს და სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში დამატებით მოხდება 50 მეტრიანი კედლის მონაკვეთის აღდგენითი სამაუშაოები, რომელსაც ისევ „საქართველოს სამშენებლო კომპანია“ ჩაატარებს, რაც ერთგვარი პრევენცია იქნება იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დამატებითი ზარალი. აღნიშნული პროექტის ჩატარებისთვის სულ 3 800 000 ლარია გამოყოფილი.

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

# განცხადება პირუტყვის მეპატრონეთა საყურადღებოდ!



**მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ადგილებში, მომრავლდნენ მსხვილფეხა ცხოველები, რომლებიც ანადგურებენ მწვანე ნარგავებს და აბინძურებენ სკვერებს. ეს ყოველივე უარყოფით ზეგავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის იერსახეზე.**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ პარკში ან სკვერში მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნა აკრძალულია. მეპატრონეები დაჯარიმდებიან კანონით განსაზღვრული წესით.**

**მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „სიარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

## ფოტოგრაფის თვალით

# ადამიანები ბორჯომიდან

**დღეიდან, „ბორჯომი“ ფოტოგრაფ ნათელა ბრიგალაშვილთან ერთად წარმოგიდგენთ პროექტს - „ადამიანები ბორჯომიდან“.**

შეგახვედრებთ იმ ადამიანებს, ვინც ბორჯომის ყოველდღიურობას ქმნან და ვის გარეშეც ეს ქალაქი წარმოუდგენელია. გაგაცნობთ მათ, ვისთვისაც ამ ადგილმა მთელი ცხოვრება განსაზღვრა. ყველას ბორჯომის სიყვარული და ერთგულება აერთიანებს. ისინი არიან - ადამიანები ბორჯომიდან. მათ შეხვდებით ყველგან - ცენტრალურ პარკში, საბაგიროზე, თეთრ ხიდზე, თეატრის სცენაზე, მოლბერტით და ფუნჯით ხელში ულამაზესი მთების ფონზე და ასე დაუსრულებლად...

ჩვენი გმირების ისტორიებს, ასევე გაეცნობით ონლაინ ჟურნალ - AT.ge -ზე.



**ისტორია №1**

**ოთარ ნინოშვილი - საბაგიროს გამცილებელი.**

პარკიდან პლატომდე - ამ გზას უკვე 18 წელია ყოველდღე რამდენჯერმე გადის. პროფესიით ელექტრომექანიკოსს არაერთ საბაგირო გზაზე უმუშავია და დღესაც ამ საქმის ერთგულია. ვიდრე მგზავრებს შეხვდება, საბაგიროს ტექნიკურ გამართულობას ამოწმებს, შემდეგ კი როგორც ამ ადგილის მთავარი მასპინძელი, სტუმრებს საბაგიროზე ხვდება და სამწუთიანი ულამაზესი მოგზაურობაც იწყება.

მისთვის, ბორჯომში, ეს ყველაზე ლამაზი ადგილია. ამიტომ, მგზავრებს ფოტოების გადაღებას ურჩევს და თან ეუბნება, რომ მთავარი კადრი ჯერ კიდევ წინ არის.

მთავარი ხედი, ოთარ ნინოშვილისთვის, პლატოდან იშლება, სწორედ ეს არის მისთვის საბაგიროს გამცილებლად მუშაობის განსაკუთრებული ხიბლი - მგზავრებთან ურთიერთობა და მათთვის ბორჯომის ხეობის სავიზიტო ბარათად ქცეული ხედების და მინერალური წყლის ისტორიის გაზიარება. თვითონაც ყოველდღე მგზავრებთან ერთად, ამ აღფრთოვანების მონაწილეა. გზა პლატოდან პარკამდე, შემდეგ შეხვედრას ეთმობა, ოთარ ნინოშვილი ყველა სტუმარს ბორჯომის საბაგირო გზაზე კიდევ ელოდება. „მე სულ აქ ვარ, როცა გინდათ, მოდით,“ - ასე ემშვიდობება 83 წლის გამცილებელი სტუმრებს და ახალი შეხვედრის მოლოდინშია.

# გაიმართა ფეხბურთში ჩემპიონატის ფინალი



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით გაიმართა ჩემპიონატი წარმოება-დაწესებულებებს შორის.**

**შეჯიბრებაში მონაწილეობდა 11 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის გუნდი „ლოჯისტიკა“. შეხვედრა ჩამომსხმელი ქარხნის გუნდის გამარჯვებით დასრულდა.**

**II ადგილი წილად ხვდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გუნდს.**

**III ადგილზე გავიდა ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხნის „საამქრო“, საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოებით 900-600-300 ლარით, საპატიო სიგელებით და მედლებით.**

**ფინალს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ტაბატაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

**ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა სპორტული აქტივობის დაგეგმვას მომავალშიც ინტენსიურად გააგრძელებს.**

## იური წერეთლის მოსაგონარი

# კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს...



**ერთი წელი შესრულდა, რაც ჩვენს გვერდით აღარაა ჩვენი დიდი სამოს და სამეგობროს აქტიური წევრი და გულითადი მეგობარი იური წერეთელი. მშობლებმა დიდ სამამულო ომში გაიცნეს ერთმანეთი და ოჯახიც შექმნეს. იური ომის შემდეგ როსტოვში დაიბადა, ბავშვობისა და სტუდენტობის წლები იქვე გაატარა, ექიმის დიპლომი მიიღო და მამამ საქართველოში წამოიყვანა. მონდომებულმა ახალგაზრდამ ქართული ენა და ტრადიციები საფუძვლიანად შეისწავლა, მაგრამ რუსული აქცენტი ბოლომდე შემორჩა, რომელიც კიდეც უხდებოდა. სწორედ ქართული ტრადიციები ასაზრდოებდა ამ შესანიშნავ პიროვნებას. ცხოვრების მანძილზე სულ იმის ცდაში იყო, ქართულად ესაუბრა. მეგობრებიც ძირითადად ქართველები ყავდა და მუდამ სამოსამეგობროს წრეში ტრიალებდა, ქართული სტუმარ-მასპინძლობის დიდი მოსიყვარულე გახლდათ და თამადობაზეც უარს არასდროს ამბობდა.**

**იური წერეთელმა მთელი თავისი შეგნებული წლები ექიმის ურთულეს პროფესიას შეალია. უმაღლესი კატეგორიის უროლოგი გახლდათ და არა მარტო ბორჯომში, მას კარგად იცნობდნენ ხაშურში, ხარაგაულში, ახალციხეში და მთელ სამცხე-ჯავახეთში.**

**სიცოცხლის ბოლო წლებში ახალციხე-ახალქალაქის ნინოწმინდაში უწევდა მუშაობა და ამ ზონის მოსახლეობაში დამსახურებული ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა.**

**იური წერეთელი გარკვეული პერიოდი ბორჯომის რაისაავადმყოფოს მთავარი ექიმიც იყო, დამსახურებული ავტორიტეტით გამოირჩეოდა ბორჯომის საზოგადოებაში, ამიტომაც აირჩიეს ბორჯომის საპატიო მოქალაქედ.**

**მისი მეუღლე, ქალბატონი ნატაშა, ბორჯომის სამშობიარო სახლის მეანგინეკოლოგად მუშაობდა და როგორც მაღალკვალიფიციური ექიმი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სამედიცინო საზოგადოებაში. სამწუხაროდ, ქალბატონი ნატაშა კოვიდინფექციამ იმსხვერპლა, ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი, ჩვენი დიდი მეგობარი - იური მძიმე ავადმყოფობის შემდეგ აღესრულა.**

**იურის დარჩა შვილები, შვილიშვილები, რომლებიც ვინძლო გააგრძელებენ მის ცხოვრებისეულ ტრადიციებს.**

**იური წერეთელთან გატარებული დღეები დაუვიწყარია ჩვენი სამეგობროს თითოეული წევრისათვის.**

**იურის ხსოვნას ნამდვილად მიესადაგება ბრძნული გამოთქმა *„კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“.***

**დიახ, იური წერეთელი მარტო ჩვენს სამეგობროს კი არა, ბორჯომს და სრულიად საქართველოს დააკლდა.**

**ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სპეტაკი სული, ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს მის სულს, იგი ჩვენი სამეგობროს დაუვიწყარ წევრად დარჩება.**

**მეგობრები**